

**სახელმძღვანელო - სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და
მასთან დაკავშირებული ტყითსარგებლობა**





HEINRICH BÖLL STIFTUNG

თბილისი

სამხრეთ კავკასია

სახელმძღვანელო მომზადებულია Global Forest Watch (GFW) მიერ დაფინანსებული კვლევის „**ტყითსარგებლობის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება წიაღის მოპოვების სექტორში**“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „მწვანე ალტერნატივა“. GFW პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ და ხორციელდება საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მიერ (WRI) და ასევე, მწვანე ალტერნატივას ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მწვანე ალტერნატივას და შესაძლოა არ გამოხატავდნენ დონორების პოზიციას.

მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართ.
ტელ.: 222 38 74

GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

ავტორები: ირაკლი მაჭარაშვილი,
თინათინ არველაძე

© მწვანე ალტერნატივა, 2019

სარჩევი

შესავალი.....	2
1. რა არის წიაღისეული	3
2. რა ეტაპებისგან შედგება წიაღის მოპოვება და გადამუშავება	5
3. რა ზემოქმედებას ახდენს წიაღის მოპოვება და გადამუშავება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე?	8
3.1 წყალთან დაკავშირებული პრობლემები.....	8
3.2 ჰაერის დაბინძურება	9
3.3 ხმაური და ვიბრაცია.....	10
3.4 წიაღის და გრუნტის დაბინძურება.....	10
3.5 ზემოქმედება ტყის ეკოსისტემებზე.....	11
4. როგორია წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა?	13
4.1 ლიცენზიის გაცემის წესი.....	14
4.2 წიაღით სარგებლობა ტყით დაფარულ ტერიტორიაზე.....	15
4.3 მდინარეებზე წიაღისეულის მოპოვება	17
4.4 წიაღით სარგებლობის პირობები	18
4.5 წიაღით სარგებლობის ზემოქმედება გარემოზე	18
4.6 სალიცენზიო პირობების შესრულება	25
5. წიაღის მოპოვებისა და ამ პროცესთან დაკავშირებულ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები.....	28
5.1 წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან და ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.....	28
5.2 სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის შემთხვევაში, მარაგების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა	29
5.3 წიაღის მოპოვების არეალში ტყითსარგებლობის შესახებ ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.....	29
5.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა	31
5.5 რეკულტივაციის სამუშაოებისა და ტყის აღდგენა-გაშენების შესახებ ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.....	31
6. როგორ გამოვიყენოთ ტყისა და მინათსარგებლობის ატლასი წიაღის მოპოვებელი კომპანიების მონიტორინგისათვის	32

სახელმძღვანელო - სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და მასთან დაკავშირებული ტყითსარგებლობა

შესავალი


სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეები და ზოგადად, საკითხით დაინტერესებული საზოგადოება სათანადოდ არ იცნობს სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობას; არ არის სათანადოდ ინფორმირებული კომპანიებისა და სახელმწიფო ინსტიტუციების მოვალეობებისა და ვალდებულებების, ასევე, საკუთარი უფლებებისა და შესაძლებლობების თაობაზე. ეს გარემოება ხელს უშლის მათ როგორც საკუთარი უფლებების დაცვაში, ისე კომპანიების საქმიანობის მონიტორინგში. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ იცოდეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებიც, რათა გადაწყვეტილების მიმღებებს ცვლილებები მოსთხოვოს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს გამჭვირვალე, პასუხისმგებლიანი და მდგრადი სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორის ჩამოყალიბებას, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირების მეშვეობით. მასში მოკლედ არის განხილული: რა არის წიაღისეული, სასარგებლო წიაღისეული, წიაღის მოპოვება-გადამუშავების ეტაპები და ამ ეტაპებზე წარმოებული საქმიანობის ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; მიმოხილულია წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა (ტყითსარგებლობის ჩათვლით); აღწერილია დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები. დაბოლოს, მოკლედ არის აღწერილი ტყისა და მინათსარგებლობის ატლასის შესაძლებლობები წიაღის მოპოვებელი კომპანიების მონიტორინგისათვის.

სახელმძღვანელო შეიძლება გამოიყენონ დაინტერესებული საზოგადოებისა და კომპანიების წარმომადგენლებმა. ის ასევე შეიძლება დამატებითი სახელმძღვანელოს სახით გამოიყენონ შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და ლექტორებმა.

1. რა არის წიაღისეული

დედამიწის სიღრმეში ან მის ზედაპირზე მიმდინარე დინამიური პროცესების შედეგად წარმოიშობა მინერალური რესურსები, რომლებიც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ამას „გეოლოგიური ციკლი“ ეწოდება და დედამიწაზე მიმდინარე ყველაზე წელი ციკლია - მინერალური რესურსების წარმოქმნას, ან განახლებას მილიონობით წელი სჭირდება. ამიტომ წიაღისეულს არაგანახლებადი რესურსების სახელით მოიხსენიებენ (სურ. 1).



სურ. 1 გეოლოგიური ციკლი (წყარო: Living in the Environment, G. Tyler Miller & Scott Spoolman, 2018).

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წიაღი არის დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც გაშიშვლებულია მიწის ზედაპირზე ან მდებარეობს ნიადაგის ფენებსა და წყალსატევში (შიდა წყლები, ზღვა), აგრეთვე ნიადაგის ფენისა და წყალსატევის ფსკერის ქვეშ და ხელმისაწვდომია შესწავლისა და ათვისებისათვის¹.

საქართველოს კანონმდებლობა სასარგებლო წიაღისეულად მიიჩნევს იმ წიაღისეულს, რომლის მოპოვებისა და გადამუშავების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალება არსებობს.

¹ საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, 1996

ამავდროულად, წიაღისეული სასარგებლოდ რომ ჩაითვალოს, მისი მოპოვება და გადამუშავება ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღები უნდა იყოს².

არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები მხოლოდ შეზღუდული დროით არსებობს. ის შეიძლება ეკონომიკურად ამოიწუროს: თუ მოძიების, მოპოვების და გადამუშავების ფასი აღემატება გასაყიდ ფასს, რესურსი ეკონომიკურად არახელმისაწვდომი ხდება.

სასარგებლო წიაღისეული დანიშნულებისა და გამოყენების სფეროების მიხედვით მოიცავს შემდეგ არაგანახლებად რესურსებს:

- სათბობ-ენერგეტიკული - ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ტორფი, სანვავი ფიქლები;
- მადნეული, როლებშიც შედის შავი (მაგალითად, რკინა, მანგანუმი და სხვ.) და ფერადი (მაგალითად, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ბარიუმი და ა.შ.) ლითონები;
- არალითონური მინერალური რესურსები - სამშენებლო მასალები (მაგალითად, თაბაშირი, თიხა, კირქვა, ქვიშა, ხრეში, ბაზალტი, გრანიტი, ტუფი, მოსაპირკეთებელი ქვები და სხვ.), სამთო-ქიმიურ ნედლეული (მაგალითად, გოგირდი, ფოსფორი, დარიშხანი, სხვადასხვა მარილი), მინისქვეშა წყლები (მინერალური, თერმული, მტკნარი), არასანვავი აირები (მაგალითად, ნახშირმჟავა აირი), ძვირფასი და სანახევავო ქვები (აქატი, მთის ბროლი, ლაზურიტი, ობსიდიანი, იასპი და სხვ.).

სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებენ მინისქვეშა დამუშავებით (მაღაროებისა და შახტების საშუალებით) ან ღია სამთო სამუშაოებით (ღია კარიერები). ნავთობის, გაზისა და სხვადასხვა სახის წყლის მოპოვება, ძირითადად ჭაბურღილების მეშვეობით ხდება.



სურ. 2. მანგანუმის მოპოვება ღია კარიერული წესით, ჭიათურა, სოფელი ითხვისი

² საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, 1996.

2. რა ეტაპებისგან შედგება წიაღის მოპოვება და გადამუშავება

წიაღის მოპოვება და გადამუშავება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან შედგება. თითოეულ ამ ეტაპზე სხვადასხვა საქმიანობა მიმდინარეობს, რომლებსაც განსაკუთრებული ზემოქმედება აქვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე: ტყის პირწმინდა ჭრა, ჰაერის, წყლისა და წიაღის დაბინძურება, ეროზიულ პროცესების განვითარება, გარეული ცხოველების შეწუხება, ადგილობრივი მოსახლეობის ქონების დაზიანება/გაუფასურება, ადამიანების იძულებითი გადასახლება და ა.შ. საუკეთესო სტანდარტებით საქმიანობის წარმართვის შემთხვევაშიც კი, წიაღის მოპოვება-გადამუშავება იწვევს გარკვეული სახის უარყოფით ზემოქმედებას. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, მომპოვებელი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებით სათანადოდ არ არის გამყარებული, ან არ არსებობს საკმარისი კონტროლი კანონის მოთხოვნების აღსრულებაზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებას (იხ. ცხრილი 1).

ეტაპი	საქმიანობა	პოტენციური ზემოქმედება
შესწავლა/დაბვერვა	<ul style="list-style-type: none"> - გეოფიზიკური შესწავლა /აეროგადაღება - ბურღვა/ტრანშეების გაყვანა - ტრანშეების ამოღება აფეთქებით - საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა - გზების აყვანა 	<ul style="list-style-type: none"> - ჰაბიტატების დაკარგვა/ფრაგმენტაცია - მყარი ნატანის რაოდენობის მომატება მდინარეში - ცხოველების და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება - ადგილობრივი წყლის რესურსების მოხმარების გაზრდა - ნავთობპროდუქტების დაღვრა - დასახლებების გაზრდა - სახეობათა შემცირება პირდაპირი მოპოვების გაზრდის ხარჯზე
ტერიტორიის მომზადება/წიაღის ამოღება	<ul style="list-style-type: none"> - საბადოს გახსნა (მცენარეულობის განადგურება, წიაღის ფენის მოხსნა) - საბადოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა (ელექტროგადამცემი ხაზები, გზები და ა.შ.) - ოფისების და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობა - შახტების მშენებლობა - სანაყაროს/ნაგავსაყრელის გაკეთება - აფეთქებები საბადოზე - წიაღისეულის ტრანსპორტირება 	<ul style="list-style-type: none"> - ჰაბიტატების დაკარგვა/ფრაგმენტაცია - წიაღისა და წყლის ქიმიური დაბინძურება - სახეობათა პოპულაციების შემცირება - ორგანიზმებზე ტოქსიკური ზეგავლენა (მცენარეები და ცხოველები) - ლანდშაფტის ცვლილება - წყლის რესურსების მოხმარების გაზრდა - დენის მოხმარების გაზრდა - ეროზიის და ნასილვის მომატება - ჩამონადენის და დრენაჟის რაოდენობის ცვლილება - მტვერი - სახეობათა შემცირება პირდაპირი მოპოვების გაზრდის ხარჯზე

ეტაპი	საქმიანობა	პოტენციური ზემოქმედება
გადამუშავება	<ul style="list-style-type: none"> - მადნის დაქუცმაცება/დაფქვა - მადნის ქიმიური დამუშავება - მადნის განმუხრვა 	<ul style="list-style-type: none"> - ქიმიური და სხვა ნარჩენების წყლის დაბინძურება - მუშაკების და მძიმე ლითონების გამოყოფა გარემოში
ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე	<ul style="list-style-type: none"> - საბოლოო პროდუქტის შეფუთვა/ჩალაგება - პროდუქტის ტრანსპორტირება 	<ul style="list-style-type: none"> - ხმაურით შეწუხება - მტვერი, ბოლი
საბადოს დახურვა	<ul style="list-style-type: none"> - მცენარეულობის აღდგენა - სანაყაროების/ ნაგავსაყრელების მოწყობა-დაკონსერვება - სახიფათო ადგილების შემოღობვა - გაუონვის მონიტორინგი 	<ul style="list-style-type: none"> - მდგრადი ნარჩენების მოხვედრა წყალსა და ნიადაგში - ხანგრძლივი და ძვირად ღირებული წყლის გადამუშავება/განმუხრვის სამუშაოები - ბუნებრივი მცენარეულობის /ბიომრავალფეროვნების დაკარგვა - ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზრდა - მტვერი

ცხრილი 1. წიაღის მოპოვებისა და გადამუშავების ეტაპები, ამ ეტაპებზე მიმდინარე საქმიანობები და მათი ზეგავლენა გარემოზე (Mining and Critical Ecosystems: Mapping the Risks, 2003 World Resources Institute, www.wri.org მიხედვით).

წიაღის მოპოვების საწყისი ეტაპია **შესწავლა - დაზვერვა**, რაც მოიცავს ტერიტორიის გეოფიზიკური შესწავლას, ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს, საბადოზე დასაქმებულთა საცხოვრებელი და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობასა და გზების გაყვანას. ამ დროს ზეგავლენას განიცდის ბუნებრივი ჰაბიტატები (საბინადრო გარემო), მდინარეებში იმატებს მყარი ნატანი, ჩნდება ადგილობრივ მოსახლეობაზე და ფაუნაზე მოქმედი შეწუხების ფაქტორები, იზრდება მოთხოვნილება ადგილობრივი წყლის რესურსებზე და სხვ. შესაძლებელია ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევებისა და მცენარეთა და ცხოველთა სახეობების პირდაპირი მოპოვების შემთხვევების ზრდა (ახალი გზების გაყვანის ხარჯზე უკანონო მოპოვების შესაძლებლობის გაჩენა და ა.შ.).

მომდევნო ეტაპი - **ტერიტორიის მომზადება და წიაღის ამოღება** - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ეტაპია. ის პირველ რიგში მოიცავს საბადოს გახსნას, რაც გულისხმობს ტყისა და სხვა მცენარეულობის პირწმინდა ჭრასა და მიწის ფენის ქანებამდე მთლიანად მოხსნას. ამ ეტაპზე ასევე ხდება საბადოს ინფრასტრუქტურის (ელექტროგადამცემი ხაზები, გზები და ა.შ.), ოფისების და სხვა დამხმარე ნაგებობების, შახტების/მაღაროების მშენებლობა, სანაყაროების/ნაგავსაყრელების მოწყობა, აფეთქებები საბადოზე და მოპოვებული წიაღისეულის ტრანსპორტირება. მაღაროს მომზადებისა და წიაღის მოპოვებისას ხდება ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების განადგურება, ისე, რომ მათი თვითაღდგენის შესაძლებლობა აღარ არსებობს. ჩამოთვლილ ქმედებებს ახლავს ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ქიმიური და ფიზიკური (მტვერი) დაბინძურება, სახეობათა პოპულაციების შემცირება, ორგანიზმებზე (შინაური და ველური მცენარეები და ცხოველები, ადამიანი)

ტოქსიკური ზეგავლენა, ლანდშაფტის ცვლილება, წყლის რესურსებისა და ელექტროენერჯის მოხმარების გაზრდა. იცვლება ზედაპირული ჩამონატანის და დრენაჟის პარამეტრები, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ნიადაგის ეროზიასა და მდინარეებში მყარი ნატანის მოცულობას ზრდის და ა.შ.

შემდგომ ეტაპია **მადნის გადამუშავება**. ამ დროს ხდება მადნის გარეცხვა, დაქუცმაცება, დაფქვა, ქიმიური დამუშავება და განმენდა, რის შედეგადაც შესაძლებელია გარემოს ქიმიური და ნარჩენებით დაბინძურება - ჰაერში, წყალსა და ნიადაგში მჟავებისა და მძიმე ლითონების ემისია, მტვრითა და ხმაურით დაბინძურება და სხვ.

მომდევნო ეტაპია **მადნის ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე**, რასაც ახლავს ხმაურით, მტვრითა და გამონახობლქვით დაბინძურება.

წარმოების საბოლოო ფაზაა **საბადოს დახურვა**, რომლის ამოცანასაც წიაღის მოპოვების შედეგად დეგრადირებული გარემოს შეძლებისდაგვარად აღდგენა წარმოადგენს. ეს ფაზა უნდა მოიცავდეს მცენარეულობის აღდგენას, სანაყაროებისა და ნაგავსაყრელების დაკონსერვებას, სახიფათო ადგილების შემოღობვას, წყლის გადამუშავება-განმენდის ხანგრძლივ და ძვირადღირებული სამუშაოების წარმოებას და გაჟონვის მონიტორინგს. წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული ეს ფაზაც შეიცავს გარემოსათვის პოტენციურ საფრთხეებს. მაგალითად ასეთებია: მტვრის გავრცელება; სხვადასხვა ორგანული დამაბინძურებლებისა და ნარჩენების მოხვედრა წყალსა და ნიადაგში; ბუნებრივი მცენარეულობის და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა უცხო სახეობების გავრცელების გამო; ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზრდა და სხვ.

3.რა ზემოქმედებას ახდენს წიაღის მოპოვება და გადამუშავება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე?

წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ტყისა და სხვა ეკოსისტემებს, იწვევს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას, ეროზიულ პროცესებს და ა.შ.

3.1 წყალთან დაკავშირებული პრობლემები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავებისას დიდი რაოდენობით წყალი გამოიყენება და ბინძურდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყლის დაბინძურება წიაღისეულის მოპოვების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია მოხდეს. წიაღისეულის გადამუშავებისას, ე.წ. „გამდიდრების“ პროცესში, ნედლეულის გასარეცხად დიდი რაოდენობით წყალს იყენებენ. წიაღისეულის გამდიდრების პროცესში გამოყენებული წყალი დიდი რაოდენობით შეწონილი ნაწილაკებით, მავნე ნივთიერებებითა და მიკროელემენტებით არის დაბინძურებული.

წიაღისეულის მოპოვების დროს, ხშირად საქმიანობის ადგილას მიწისქვეშა/გრუნტის წყლები აღმოჩნდება, ამიტომ სამთო-მოპოვებითი სამუშაოების გასაგრძელებლად, წყალს სხვა ადგილზე გადატუმბავენ ხოლმე. ამ პროცესში შესაძლებელია მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა წყლის ნაკლებობის პრობლემის წინაშე დააყენოს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების არეალში ზედაპირული და გრუნტის წყლები მრავალი წლის განმავლობაში რჩება დაბინძურებული ან საერთოდ ქრება. ბურღვა-აფეთქებითმა სამუშაოებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების მიმართულებისა და დონის ცვლილება.

მიწისქვეშა თუ ზედაპირული წყლების (მდინარეების) დაბინძურება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს წიაღის მოპოვებისა და გადამუშავების არეალებში: ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი და გამამდიდრებელი საწარმოები, ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელი და გამამდიდრებელი საწარმო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბოლნისში სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების/გამდიდრების დროს წყლის ეკოსისტემების ძლიერ დაბინძურებას იწვევენ. მათი საბადოებიდან, გამამდიდრებელი/გადამამუშავებელი ქარხნებიდან და წარმოების ნარჩენების განთავსების ადგილებიდან მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული წყალი სათანადო განმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში და იჟონება ნიადაგში, რაც იწვევს გარემოს (მათ შორის ადამიანის ორგანიზმის) ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებას.



სურ. 4. წყლის დაბინძურება წიაღისეულის გადამუშავების შედეგად - კაზრეთი



სურ. 5. წყლის დაბინძურება წიაღისეულის გადამუშავების შედეგად - ჭიათურა

3.2 ჰაერის დაბინძურება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავების სხვადასხვა ეტაპზე ჰაერში დიდი რაოდენობით მტვერი გამოიყოფა. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას ხდება აფეთქებები, ბურღვითი და საექსკავაციო სამუშაოები. გადამუშავება დაკავშირებულია ნედლეულის მსხვრევასთან, გაცხავებასთან, გადატვირთვასთან, გაშრობასთან - რის შედეგადაც დიდი რაოდენობით წვრილ ნაწილაკები წარმოიშობა, რომლებიც ქარით გარემოში ადვილად ვრცელდება. ჰაერის დაბინძურებას იწვევს მადნის ტრანსპორტირება, რაც, ხშირ შემთხვევაში, გადაუხურავი სატვირთო მანქანებით ხდება. ეს დამაბინძურებლები მთელ რიგ ფიზიკურ და ქიმიურ ცვლილებებს განიცდიან, ხოლო ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემთხვევაში ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევენ. ჰაერის დაბინძურება უარყოფით გავლენას ახდენს ეკოსისტემის ფუნქციონირებაზე და იქ მობინადრე სახეობებზე.



სურ. 6. ჰაერის დაბინძურება - ჭიათურა, ზედა რგანი

3.3 ხმაური და ვიბრაცია

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ასევე, გარემოს ხმაურით დაბინძურებას იწვევს. ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებიდან, დანადგარებიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან ერთობლივად წარმოქმნილი ხმაური უარყოფითად მოქმედებს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ველურ ბუნებაზე.

ვიბრაცია სამთო-მოპოვებითი სამუშაოების დროს გამოყენებული სხვადასხვა დანადგარების მუშაობასთან არის დაკავშირებული; თუმცა, აფეთქებითი სამუშაოები მაინც მთავარ წყაროდ მიიჩნევა. ვიბრაციის შედეგად ზიანდება ღია კარიერების მახლობლად არსებული ინფრასტრუქტურა, შენობა-ნაგებობები და ადგილობრივი მაცხოვრებლების სახლები. წიაღისეულის მოპოვების პროცესში აფეთქებითი სამუშაოების შედეგად ვიბრაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ხმაური, მტვერი, მიმდებარედ არსებული შენობების ნგრევა და ცხოველთა შემფოთება, რომელზეც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაა დამოკიდებული. აფეთქებები განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც სამუშაოები დასახლებულ პუნქტებთან და დაცულ ტერიტორიებთან ან ტყეებთან ახლოს ხდება.



სურ. 7. აფეთქება საყდრისის საბადოზე



სურ. 8. წიაღის მოპოვება ღია კარიერული წესით დასახლებული ტერიტორიის მიმდებარედ

3.4 წიაღისეულის და გრუნტის დაბინძურება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება იწვევს წიაღისეულის დაბინძურებას/დაზიანებას საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. წიაღისეულის დაზიანება, ან დაბინძურება ძირითადად გამოწვეულია კარიერის გადახსნითი სამუშაოებით, ნავთობპროდუქტების მოხმარების, შენახვისა და დასაწყობების წესების დარღვევით, აგრეთვე, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვით. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გამუდმებით ცვლის მიმდებარე ტერიტორიის ლანდშაფტს. საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და წიაღისეულის ეროზია იწვევს ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურებას. ამასთან, წიაღისეულის დაბინძურება ხდება საქმიანობის დროს სახიფათო ნივთიერებების დაღვრის ან გაჟონვის შემთხვევაშიც. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში, წიაღისეულის დაბინძურება, ასევე, ხდება ქარით მტვრის გავრცელების საშუალებით. მტვრის ტოქსიკურობა კი წიაღისეულის სახეობასა და გარემოს რეცეპტორების სიახლოვეზე არის დამოკიდებული. დაბინძურების ძირითად წყაროს, როგორც წესი, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული წიაღისეულის ნარჩენები წარმოადგენს.

ლანდშაფტის მნიშვნელოვან ვიზუალურ ცვლილებებს, აგრეთვე, იწვევს მიწისქვეშა სამთო სამუშაოები, რაც მენყრული და სხვა გეოლინამიკური პროცესების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული.



სურ. 9. სასოფლო - სამეურნეო სავარგულების დაბინძურება - ჭიათურა, ზედა რგანი

3.5 ზემოქმედება ტყის ეკოსისტემებზე

ტყის ეკოსისტემების დეგრადაციისა და განადგურების ერთი-ერთი ყველაზე სერიოზული მიზეზი სწორედ წიაღის მოპოვებაა. ეს საქმიანობა გაცილებით მეტად აზიანებს ტყის ეკოსისტემას, ვიდრე კომერციული, თუ უკანონო ჭრები, ან ხანძრები: გაკაფული და ნახანძრალი ტყე დროთა განმავლობაში ალბათ აღდგება (შეიძლება ამას ათეული წლები დასჭირდეს), მაგრამ მოპოვების კარიერი, სადაც წიაღის მოსაპოვებლად ტყე გაიჩეხა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნა და სასარგებლო წიაღისეულის ფენამდე მიწა ამოიღეს, არასოდეს არ აღდგება. სერიოზული სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება აუცილებელია, რომ თუნდაც მეორადი ეკოსისტემა აღდგეს; თუმცა ამას დიდძალი ფინანსური და ადამიანური რესურსები და ათეულობით წელი დასჭირდება.

ტყის ეკოსისტემებს პირველ რიგში ანადგურებს პირწმინდა ჭრები, რომელსაც მიმართავენ კარიერის მომზადებისა და წიაღის მოპოვება-გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მომზადებისათვის. დიდი რაოდენობით მერქნული რესურსები სჭირდება მალაროებისა და შახტების მოწყობას. დაბინძურებაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ტყის ეკოსისტემებს. ჰაერის დაბინძურების შედეგად იხოცებიან მცენარეთა დამმტვერავი მწერები, რაც ტყის (და ასევე - სასოფლო-სამეურნეო) მცენარეულობის ნაყოფიერების შემცირებასა და დეგრადაციას განაპირობებს. მტვრით მცენარეების დაფარვის შედეგად მათი ფიზიოლოგიური პროცესები ირღვევა, რაც საბოლოო ჯამში ეკოსისტემების ფუნქციონირებაზე ახდენს ზეგავლენას, ვინაიდან იცვლება მცენარეთა მონაწილეობით მიმდინარე ფოტოსინთეზის პროცესი, წყლისა და ნახშირბადის ციკლები. მდინარეებიდან ინერტული მასალების მოპოვება, ისევე როგორც ქვიშრობული ოქროს მოპოვება, ანადგურებს ჭალის მცენარეულობას, მდინარის ქვედა დინებაში ორგანული ნივთიერებების გადაადგილებას აფერხებს. ეს ნივთიერებები კი საკვებს წარმოადგენენ წყალთან დაკავშირებული ორგანიზმებისათვის.



სურ. 10 -11. წიაღის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან



სურ. 11. მანგანუმის მოპოვება წაბლის ტყის ტერიტორიაზე, ჭიათურა

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

- [სახელმძღვანელო ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის, 2010, მწვანე ალტერნატივა;](#)
- [სახელმძღვანელო მანგანუმის მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის, 2010, მწვანე ალტერნატივა;](#)
- [პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, 2015, EMC და მწვანე ალტერნატივა](#)

4. როგორია წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა?

საქართველოს უზენაესი კანონია კონსტიტუცია, რომლის 29-ე მუხლი - „გარემოს დაცვის უფლება“ - იცავს საქართველოს მოქალაქეთა უფლებას ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, ისარგებლოს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით, დროულად მიიღოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. კონსტიტუციის ამ მუხლის თანახმად, სპეციალური კანონით უნდა იქნას უზრუნველყოფილი გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, მდგრადი ეკოლოგიური განვითარება, ისევე როგორც გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეების მონაწილეობა.

საქართველოს კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია³ (იგივე – ორჰუსის კონვენცია), რომელსაც გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (გარდა კონსტიტუციისა).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტებისა, წიაღის მოპოვება-გადამუშავებისა და ამ პროცესთან დაკავშირებული ტყითსარგებლობის კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს კანონებს „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996), „წიაღის შესახებ“ (1996), „ტყის კოდექსი“ (1999) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2006), „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, ასევე, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს.

წიაღი არის სახელმწიფო საკუთრება და მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს წიაღზე საკუთრების უფლებას⁴. წიაღის სარგებლობის ობიექტებს, წიაღის იმ უბნებს, რომლებიც გაიცემა სარგებლობაში შესაძლოა დაუნესდეს:

- სამთო მინაკუთვნი - ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს წიაღით სარგებლობის უფლება ეძლევა;
- გეოლოგიური მინაკუთვნი- მხოლოდ შესწავლისათვის გადაცემული წიაღის უბანი;
- მიწის მინაკუთვნი - დასამუშავებელი საბადო, წიაღისეულის საწყობები, ფუჭი ქანების სანაყაროები, ნარჩენების განთავსების ადგილები.

სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ წიაღით სარგებლობა აკრძალულია⁵.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, რომ ლიცენზია ესაჭიროება საქმიანობას, რომელიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების სფეროებსა და ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. წიაღის მოპოვებაც ასეთ საქმიანობას განეკუთვნება, რადგან შესაძლოა

³ კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 11 თებერვალს, ძალაშია 2001 წლის 30 ოქტომბრიდან.

⁴ საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ (1996)

⁵ დებულება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 11.08.2005 №136 დადგენილება)

მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს როგორც ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, აგრეთვე მის საცხოვრებელ გარემოზე. წიაღის მოპოვების უფლების მისაღებად სახელმწიფო გასცემს სარგებლობის ლიცენზიას.

აკრძალულია ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა: როდესაც ხდება გარემოს მდგომარეობის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლი და კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის წიაღისეულის მოპოვება.

4.1 ლიცენზიის გაცემის წესი

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ აწესრიგებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემას. ამ აქტის თანახმად, საქართველოში წიაღით სარგებლობის ლიცენზიებს გასცემს ორი ადმინისტრაციული ორგანო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული შემთხვევებისა (იხ. ქვემოთ). აუქციონი ცხადდება ლიცენზიის გამცემის ადმინისტრაციული აქტით და მისი საფუძველი შეიძლება იყოს ლიცენზიის მაძიებლის განცხადება ან ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება. ამ დადგენილების მიხედვით, აუქციონი ტარდება ელექტრონული ფორმით, ხოლო თუ ელექტრონული აუქციონის შედეგად არ მოხდა ლიცენზიის გაცემა, მაშინ დასაშვებია მისი გამოცხადება ელექტრონული ფორმის გარეშე. ელექტრონული ფორმით აუქციონი ტარდება სააგენტოს ინტერნეტგვერდის ან ინტერნეტგვერდ www.eauction.ge -ის მეშვეობით. აუქციონის გზით გაიცემა ორი სახის ლიცენზია: 1) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით და 2) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით.

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვით ადრე და მოიცავდეს ინფორმაციას:

- ლიცენზიის გამცემის დასახელებას;
- სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტულ ობიექტს;
- ლიცენზიის მაძიებლის (პირი, რომელსაც სურს ლიცენზიის მოპოვება) მიერ განცხადების მიღებისა და აუქციონის გამართვის ვადებს;
- სალიცენზიო პირობებს;
- კონკრეტული ობიექტის სარგებლობისათვის მოთხოვნებს;
- გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს.

ლიცენზიის მაძიებელმაც უნდა წარადგინოს ინფორმაცია წიაღის სახეობის, ოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. აგრეთვე იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორია კერძო საკუთრებაშია). მნიშვნელოვანია, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობის შემდგომ. აუქციონის დასრულებამდე მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია.

ლიცენზია გაიცემა აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის დადასტურებიდან ოცდაათ კალენდარულ დღეში. ლიცენზიის გაცემის შემდეგ, წიაღით მოსარგებლემ უნდა დაიცვას სალიცენზიო პირობები და ვალდებულებები.

ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები და გამონაკლისები. მაგალითად, ლიცენზია გაიცემა პირდაპირი წესით (აუქციონის ჩატარების გარეშე), როდესაც ხდება ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისთვის სასარგებლო წიაღისეულის - სამკურნალო ტალახის და სამკურნალო მინისქვეშა მინერალური წყლების მოპოვება. აგრეთვე, ლიცენზია საჭირო არ არის პირადი ან არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობისთვის, მინისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების დროს და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცული ტერიტორიებზე (იმ კატეგორიებზე, სადაც დაიშვება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა) პირადი და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობისთვის წიაღით სარგებლობის დროს (თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ფიქალის ქვით სარგებლობა).

სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის საკითხებს არეგულირებს კიდევ ერთი აქტი: სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება 01/05/2018, N2, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ეს აქტი გარკვეულწილად მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებისგან განსხვავებულ რეგულაციებს გვთავაზობს. ამ ბრძანების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვების მიზნით ტარდება ღია ან დახურული აუქციონი. ღია აუქციონი ტარდება ელექტრონული ფორმით ან მის გარეშე. აუქციონის ჩატარების ფორმაზე გადანყვეტილებას იღებს ლიცენზიის გამცემი. ღია აუქციონი ტარდება საჯაროდ. ასევე საჯაროდ ტარდება დახურული აუქციონის სხდომა. ელექტრონულ აუქციონს ატარებს ლიცენზიის გამცემი მისი ოფიციალური ვებგვერდის ან ინტერნეტგვერდის - www.eauction.ge-ს მეშვეობით. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს, ასევე ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია მიმდინარეობს აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 15 დღის განმავლობაში. რეგისტრაციის საბოლოო ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს ლიცენზიის გამცემი. ელექტრონულ აუქციონში რეგისტრაცია უთანაბრდება განცხადების მიღებას.

4.2 წიაღით სარგებლობა ტყით დაფარულ ტერიტორიაზე

საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება ტყით დაფარულ ტერიტორიებზე წიაღისეულის მოპოვების საკითხი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, წიაღის შესწავლა-მოპოვებისთვის და მოპოვებისთვის საჭიროა სპეციალური ჭრების უფლების მოპოვება. ამისათვის ლიცენზიის მფლობელი განცხადებით მიმართავს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს (ან სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, თუ წიაღის მოპოვების ლიცენზია დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობს), წარადგენს შესაბამის დოკუმენტებს (პირადობის დამადასტურებელ მონმობას, წიაღის შესწავლის ან/და მოპოვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტის ასლს, საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის კოორდინატებს და ა.შ). განცხადების რეგისტრაციიდან 30 დღის ვადაში სპეციალური ჭრების უფლების მინიჭების შესახებ გადანყვეტილებას მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით

იღებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (ან სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო - იმ შემთხვევაში, თუ წიაღის მოპოვება დაცულ ტერიტორიაზე ხდება), ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო (სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო). თუ ლიცენზიის მფლობელი მიიღებს სპეციალური ჭრების განხორციელების უფლებას, მას გამოეყოფა ტყეკაფი.

სპეციალური ჭრის უფლების მფლობელს აქვს კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ტყის მოვლა-აღდგენასა და დაცული ტერიტორიებზე ტყის აღრიცხვის, ინვენტარიზაციის ღონისძიებების ჩატარებაზე. საკომპენსაციო საფასურის განისაზღვრება მიწის ფართობისა და გამოყოფილ ტყეკაფზე მონიშნული მერქნული რესურსის მოცულობის მიხედვით.

გარკვეული შეზღუდვები არსებობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ თანახმად, განსაზღვრულია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიები და მანძილები სადაც არ შეიძლება წიაღის მოპოვება. ასეთი ტერიტორიებია:

- სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიები;
- განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნები, როგორცა:
 - ალპური ზონის მიმდებარედ მერქნიანი მცენარეებით, ხეებითა და ბუჩქებით დაფარული ფართობები (300 მეტრის სიგანეზე);
 - თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ (200 მეტრამდე სიგანეზე);
 - უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტრამდე სიდიდის ფლატეები;
 - დამენყრილი ადგილების ირგვლივ (100 მეტრამდე სიგანეზე);
 - რკინიგზის გასწვრივ ტერიტორია (100 მეტრამდე სიგანეზე);
 - საავტომობილო გზის გასწვრივ (100 მეტრამდე სიგანეზე);
 - ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ (ნაპირებიდან 300 მეტრამდე სიგანის ტერიტორიაზე);
- სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები;
- ტყის უბნები, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება ხდება მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით, ეს შეზღუდვა უქმდება. ამ შემთხვევაში, დაუშვებელია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, აგრეთვე წიაღის მოპოვება იმ მეთოდებითა და ფორმებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეების განადგურება;
- 20°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე, გარდა კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანებით აგებული ფერდობებისა. წიაღის მოპოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად დამტკიცდება, რომ წიაღით სარგებლობა არ გამოიწვევს უარყოფით გეოდინამიკურ პროცესებს;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1-ჰაზე არსებული მერქნული რესურსების მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50მ³-ს, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ეხება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას მიწისქვეშა გამონამუშევრებით.

თუკი ტყის ფონდზე არსებული სალიცენზიო ფართობი 3 ჰექტარზე მეტია, წიაღის მოპოვებაზე საჭიროა საქართველოს მთავრობის თანხმობაც.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №241 დადგენილებით „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“, საქართველოს ტყის ფონდის აღდგენას სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვით იწყება და მას ახორციელებენ სახელმწიფო ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები, მაგალითად დაცულ ტერიტორიებზე - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, აჭარაში - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, ხოლო დანარჩენს შემთხვევებში (ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე არსებული ტყის ფონდის გარდა) - ეროვნული სატყეო სააგენტო. ამ უწყებებთან შეთანხმებით, ტყის აღდგენა შესაძლოა განახორციელონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმაც. აღდგენას ექვემდებარება ნახანძრალი ან სხვა მიზეზით განადგურებული ტყით დაფარული ტერიტორიები (არ არის დასახელებული კონკრეტულად წიაღის მოპოვების შედეგად განადგურებული ტყის მასივები, თუმცა ამაში უნდა ვიგულისხმეთ).

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია წიაღის ნაყოფიერი ფენის მოხსნასთან, წიაღის დეგრადაციასთან, მიწების დარღვევასთან ვალდებულია განახორციელოს რეკულტივაცია, რაც გულისხმობს დაზიანებული მიწების აღდგენას პირვანდელ ან მიახლოებულ პირვანდელ მდგომარეობამდე⁶. რეკულტივაციას ექვემდებარება სხვადასხვა საქმიანობის, მათ შორის წიაღით სარგებლობის შედეგად დარღვეული მიწები: მიწისქვეშა ობიექტების და კომუნიკაციების მშენებლობისას, ექსპლუატაციისა და კონსერვაციის (მახტების, გამონამუშევარის, საცავების, მეტროპოლიტენის, საკანალიზაციო ნაგებობების და სხვა), სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ღია ან მიწისქვეშა მეთოდით დამუშავების შემთხვევაში დეგრადირებული გარემო.

4.3 მდინარეებზე წიაღისეულის მოპოვება

დებულება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ აგრეთვე არეგულირებს მდინარეებზე წიაღისეულის მოპოვების საკითხს. მდინარეებზე არსებულ ქვიშა-ხრემის საბადოებზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცივმა 3 მეტრიანი სისქის პროდუქტიული შრის დამუშავების უფლებით. ლიცენზიის მძიებლის მოთხოვნით შეიძლება შრის სიღრმის გაზრდა. ამ შემზღუდვასთან ერთად, დებულებაში ვხვდებით ჩანაწერს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით.

შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე, გარდა მდინარე რიონისა და მისი შენაკადებისა, აკრძალულია ინერტული მასალის მოპოვება შემდეგი ტერიტორიებიდან:

- ჭალა-კალაპოტებიდან;
- ჭალისზედა-პირველი ტერასებიდან;
- შავი ზღვის შესართავიდან 20 კილომეტრის მანძილზე პირდაპირი ხაზით;

⁶ ტექნიკური რეგლამენტი „წიაღისეულის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 31.12.2013 №424 დადგენილება)

ამ ტერიტორიებზე ინერტული მასალის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ნაპირების აღდგენის მიზნით, ან ღვარცოფული ხევებისა და მდინარეების მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საშიშროების დროს.

4.4 წიაღით სარგებლობის პირობები

ლიცენზიის მფლობელისთვის განსაზღვრულია მოთხოვნები, რომელიც უნდა დაიცვას წიაღით სარგებლობის დროს:

ა) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ბ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

გ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

დ) ექსპლუატაციისას მუდმივი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ე) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ვ) ლიცენზიის გამცემის მიერ სარგებლობისათვის განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ყოველწლიურად სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს ანგარიში წიაღით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ.

4.5 წიაღით სარგებლობის ზემოქმედება გარემოზე

2007 წელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშ-ს) ჩატარებისა და გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვების ვალდებულებისგან. ამის შედეგად, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში აღარ ფასდებოდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე წიაღის მოპოვების შედეგად გამოწვეული ზემოქმედება, მათ შორის ტყეზე, ბიომრავალფეროვნებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან წიაღისეულ რესურსებზე ლიცენზიები გაიყიდა. მდგომარეობა შეიცვალა 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედების შემდგომ.

კოდექსი მოიცავს ხუთი ტიპის ინსტრუმენტს: 1) გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ); 2) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგმ); 3) ტრანსსასაზღვრო გზმ და 4) ტრანსსასაზღვრო სგმ⁷; 5) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება.

გზმ არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. სგმ არის სტრატეგიული დოკუმენტის (სტრატეგია, პოლიტიკა, პროგრამა) განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. ანუ გზმ ეხება კონკრეტულ პროექტს (მაგალითად კონკრეტული წიაღის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა), ხოლო სგმ - სახელმწიფო პროგრამას ან სტრატეგიას (მაგალითად, სასარგებლო წიაღის სექტორის პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტი). გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობის ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ისე სახელმწიფო ინსტიტუცია, ხოლო სგმ-ს ინიციატორი - მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუცია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს“ აქვს ორი დანართი. პირველ დანართში მოცემულია იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ გზმ-ს ჩატარებას. კანონის მეორე დანართით განსაზღვრულია საქმიანობები, რომლებიც სამინისტროს გადანყვეტილების საფუძველზე (ე.წ. სკრინინგის პროცედურით, იხ. ქვემოთ), შეიძლება დაექვემდებარონ გზმ-ს.

ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტები (მე-5-ს გარდა) ითვალისწინებენ გადანყვეტილებების მიღებას სამ ეტაპად: სკრინინგი, სკოპინგი, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღება.

სკრინინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ის/სგმ-ის ჩატარების საჭიროებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სკრინინგის მიზანია დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა, რომ დაგეგმილმა პროექტმა, რომელიც შედის კოდექსის მეორე დანართით განსაზღვრულ საქმიანობებში, იქონიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე და შესაბამისად ჩაუტარდეს ან არ ჩაუტარდეს გზმ. ანალოგიურია სკრინინგის მიზანი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დროს - დადგინდეს, იქონიებს თუ არა წარმოდგენილი სახელმწიფო პროგრამა/სტრატეგია/პოლიტიკა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით შედეგებს და საჭიროებს თუ არა სგმ-ს ჩატარებას.

სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს. ანუ სკოპინგის დროს დგინდება, თუ რა ძირითადი საკითხები უნდა განიხილებოდეს გზმ-ში, რა შედეგებზე (ზეგავლენაზე) უნდა გამახვილდეს ყურადღება, რა მეთოდები უნდა გამოიყენებოდეს და ა.შ.

⁷ კანონის თანახმად, ტრანსსასაზღვრო გზმ-სა და ტრანსსასაზღვრო სგმ-ს რეგულაციები ძალაში შევა ქვეყნის მიერ „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (ესპოს კონვენციის) და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოში ძალაში შესვლის შემდეგ

ჩანართი 1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველ და მეორე დანართში შეტანილი საქმიანობები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება უკავშირდებოდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებას:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართით განსაზღვრული საქმიანობები

- ნედლი ნავთობის (გარდა საზეთ-საპოხი მასალისა) გადამუშავება;
- დღე-ღამეში 500 ტონა ან მეტი ქვანახშირის ან ბიტუმოვანი ფიქლის გათხიერება ან/და გაზიფიცირება.
- თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით.
- მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა.
- აზბესტის ამოღება, აზბესტისა და აზბესტემცველი პროდუქციის დამუშავება ან/და გარდაქმნა: წელიწადში 20 000 ტონაზე მეტი აზბესტ-ცემენტის პროდუქციის წარმოება; წელიწადში 50 ტონაზე მეტი ფრიქციული მასალის წარმოება; წელიწადში 200 ტონაზე მეტი აზბესტის სხვაგვარად გამოყენება.
- ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება;
- ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება;
- ფოსფოროვანი, ამოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების მარტივი ან/და რთული წარმოება;
- მინისქვეშა წყლის ამოტუმბვის ან მინისქვეშა წყლის ხელოვნური შევსების სამუშაოების წარმოება, როდესაც ამოსატუმბავი და ჩასატუმბავი წყლის მოცულობა წელიწადში 10 მილიონი მ³ ან მეტია.
- წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია.
- ტორფის მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 150 ჰექტარზე მეტია.
- 1 000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.
- ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) გეოლოგიური დასაწყობება.
- წელიწადში 1.5 მეგატონა ან მეტი ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) მოპოვება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართით განსაზღვრული საქმიანობები

- 500 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაშენება ან/და 50 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით;
- ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრემისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია;
- სასარგებლო წიაღისეულის მინისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მინისქვეშა მტკნარი წყლის სამენარმეო მიზნით მოპოვება), როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 მ³-ზე მეტია (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა ან მინისქვეშა წყლის პირადი მოხმარების მიზნით გამოყენებისა);

- სასარგებლო წიაღისეულის ზღვიდან მოპოვება;
- ბურღვითი სამუშაოები თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) წყლის მოპოვების მიზნით;
- ბურღვითი სამუშაოები რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის მიზნით;
- ბურღვითი სამუშაოები მიწისზედა საწარმოო ნაგებობის გამოყენებით ნახშირის, მადნის ან ბიტუმოვანი ფიქლის მოპოვების მიზნით.
- 100 მ³ ან მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;
- ნახშირის ან/და ლიგნიტის ბრიკეტირება;
- თუჯის ან ფოლადის დნობა პროდუქციის წარმოების მიზნით;
- შავი ლითონის დამუშავება: ლითონის ცხლად დამუშავება, სამჭედლო გრდემლით, დამცავი ლითონის ფენით დაფარვა წელიწადში 50 ტონა ან მეტი წარმადობით;
- ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონისა) დნობა წელიწადში 20 ტონა ან მეტი წარმადობით;
- ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესის გამოყენებით 10 მ³ ან მეტი მოცულობის აგზში ლითონის ან/და პლასტიკური მასალის ზედაპირული წმენდა;
- ლითონშემცველი მადნის გამონვა და აგლომერირება.
- სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება;
- ქვანახშირის დაკოქსვა;
- ასფალტის წარმოება;
- ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება;
- აზბესტის ან/და აზბესტშემცველი პროდუქციის წარმოება;
- მინის ან/და მინის პროდუქციის (მათ შორის, მინის ბოჭკოს) წარმოება;
- კერამიკული თიხის წარმოება (გარდა ტრადიციული წესით საოჯახო მეურნეობაში წარმოებისა), კერამიკული პროდუქციის (კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილის ან ფაიფურის) წარმოება.
- 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსება;
- 5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ნავთობის, გაზის ან ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ტრანსპორტირების მიზნით.
- შლამსაცავის მოწყობა და ექსპლუატაცია

პირველ ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებელი წარადგენს **სკრინინგის** განცხადებას, რათა სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სკრინინგის ეტაპი ეხება მხოლოდ "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მეორე დანართით განსაზღვრულ საქმიანობებს.

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას; მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

ჩანართი 2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

მუხლი 78. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

თუ სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელს შეუძლია დაიწყოს საქმიანობა, საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვით (სავალდებულოა).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის სანარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა (მათ შორის წარმადობის გაზრდა) კანონმდებლობით სკრინინგისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს.

თუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული პროექტი შედის კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობებში ან სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს, იწყება მეორე ეტაპი - **სკოპინგი**: პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შედეგებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად. სკოპინგის ანგარიშში არის საქმიანობის განმახორციელებლის ან მისი კონსულტანტის მიერ მომზადებული წინასწარი დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას. კანონით განსაზღვრულია, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს სკოპინგის ანგარიში⁸.

დასკვნა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა. ამ პერიოდში სამინისტრო აწყობს საჯარო განხილვას. სკოპინგის დასკვნა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი ინფორმაციისა და შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი. ის

⁸ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი

სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას. სკოპინგის დასკვნას ვადა აქვს - თუ დამტკიცებიდან 2 წლის განმავლობაში განმცხადებელი ვერ მოამზადებს გზმ ანგარიშს და ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, ის ძალადაკარგულად ჩაითვლება და პროცესი თავიდან უნდა დაიწყოს.

კოდექსი ასევე იძლევა სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების კომბინირების შესაძლებლობას. II დანართის საქმიანობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს სამინისტროს წარუდგინოს სკრინინგისა და სკოპინგის ერთობლივი განცხადება. ასეთ შემთხვევაში, თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის საფუძველზე დაადგენს, რომ საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს, იმავე გადაწყვეტილებით, იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით. ამრიგად ეს მექანიზმიც დროს უზოგავს განმახორციელებელს.

დროის მოგების მიზნით, ასევე არსებობს სკრინინგის ეტაპის გამოტოვების შესაძლებლობა. II დანართის საქმიანობის შემთხვევაში თუ საქმიანობის განმახორციელებელი თვლის, რომ დაგეგმილი საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, მას შეუძლია სამინისტროს პირდაპირ წარუდგინოს სკოპინგის განცხადება - სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე.

შემდგომ ეტაპზე, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული პირობების (მეთოდოლოგია, მოსაპოვებელი ინფორმაცია, გამოსაკვლევი საკითხები) შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირი იწყებს გზმ ანგარიშის მომზადებას **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების** მისაღებად.

გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ: მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, გარემოს არაცოცხალ კომპონენტებზე (წყალი, ნიადაგი, ჰაერი, მინა, კლიმატი, ლანდშაფტი), კულტურულ მემკვიდრეობაზე, მატერიალურ ფასეულობებზე და ა.შ.⁹ საქმიანობის ზემოქმედებას ამ კომპონენტებზე, კუმულაციურ ზემოქმედებას, ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და გამოუვალ შემთხვევაში - კომპენსირების საკითხებს; უნდა შეფასდეს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგი და მიღებული სარგებელი გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში. აუცილებელია, შეფასდეს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა ალტერნატივები, მათ შორის არაქმედების (პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევა) ალტერნატივა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისთვის მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, რომლის დროსაც საჯარო განხილვას ატარებს სამინისტრო. სამინისტრომ უნდა განიხილოს გზმ ანგარიში, ჩაუტაროს ექსპერტიზა და ამის საფუძველზე მიიღოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. სამინისტრომ მხედველობაში უნდა მიიღოს: საზოგადოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და გზმ-ის ანგარიშის შესწავლის შედეგები.

⁹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლი, მე-3 პუნქტი

განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე სამუშაო დღისა სამინისტრომ უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ან უარი თქვას საქმიანობის განხორციელებაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საქმიანობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს გზმ-ის ანგარიშს, ექსპერტიზის დასკვნას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემულ აქტს, საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციას. გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ქვეყნდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ალმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე. გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. თუმცა, თუ საქმიანობა არ დაიწყება 5 წლის ვადაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ცხადდება.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმახორციელებელი იწყებს საქმიანობას, რომლის დროსაც ვალდებულია შეასრულოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები და აწარმოოს მონიტორინგი და კონტროლი. სხვა საკითხებთან ერთად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მოიცავს ინფორმაციას საქმიანობის შემდგომი ანალიზის მიზნის, მასშტაბისა და პერიოდულობის შესახებ. საქმიანობის შემდგომმა ანალიზმა უნდა მოიცვას: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგი; საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ანალიზი; გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების შეფასება. აღნიშნული ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროს უნდა წარუდგინოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები საჯაროა, ეს ინფორმაცია სამინისტრომ უნდა განათავსოს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში. საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სამინისტრო მათ ითვალისწინებს გზმ-ისადმი დაქვემდებარებული სხვა საქმიანობისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრულია **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება** ტარდება გზმ-ს მსგავსი სქემით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა ასევე მოიცავს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსიდან“ გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს „საჯარო განხილვის წესი¹⁰“ და „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე¹¹“.

¹⁰ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანება, საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

¹¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის N 2-827 ბრძანება „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე“

წიალის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი, თუ მას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ეკუთვნის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, ვერ დაიწყებს ლიცენზიით განსაზღვრული წიალისეულის მოპოვებას, სანამ არ ჩაატარებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და მასზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადებითი გადაწყვეტილებას არ მიიღებს. თუ სალიცენზიო პირობები და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობები ერთმანეთთან შეუსაბამოა, უპირატესობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირობებს ენიჭება. ლიცენზიით არ შეიძლება დადგინდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო სალიცენზიო პირობები¹².

მნიშვნელოვანია ის რომ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ ექვემდებარება ქვიშა-ხრეშის მოპოვება. შესაბამისად, არ ფასდება ის ზემოქმედება, რაც ამ საქმიანობას ახლავს თან.

4.6 სალიცენზიო პირობების შესრულება

სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიალით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულებას აკონტროლებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – წიალის ეროვნული სააგენტო. გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულებას კი აკონტროლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სალიცენზიო პირობების კონტროლისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმია მოცემული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტების – წიალით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, წიალით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს წიალით სარგებლობის მდგომარეობაზე საინფორმაციო ანგარიშის შედგენისა და წარდგენის წესს. სასარგებლო წიალისეულით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი/წიალის მოსარგებლე სუბიექტები ვალდებული არიან, დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში ლიცენზიის გამცემს წარუდგინონ ელექტრონული ფორმით შევსებული საინფორმაციო ანგარიში წიალით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ.

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რასაც უნდა მოიცავდეს საინფორმაციო ანგარიში. სხვა საკითხებთან ერთად, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წიალით მოსარგებლისა და წიალით სარგებლობის ობიექტის შესახებ, სალიცენზიო ობიექტის მდებარეობის, სამთო მოპოვებელი საწარმოს შესახებ, ცალკეულ ობიექტზე არსებული უბნებისა და სასარგებლო წიალისეულის ათვისების ხარისხის, ლიცენზიანტისა და სალიცენზიო პირობების შესახებ; მონაცემები სასარგებლო წიალისეული

¹² საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (2017)

ტიპის (სახეობა), მასში სასარგებლო კომპონენტის საშუალო შემცველობის შესახებ. ასევე, მონაცემები საწარმოს წლიური საპროექტო სიმძლავრე. საინფორმაციო ანგარიშში მოცემული უნდა იყოს, როგორი იყო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

მყარი სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ობიექტის პროექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის ზოგადი აღწერას, მოკლე მიმოხილვას ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზას, ინფორმაციას ობიექტის ადგილმდებარეობასა და მიმდებარედ არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ, მოპოვების ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შესახებ, მონაცემებს პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული კლიმატური პირობების, ბიომრავალფეროვნებისა და შესახებ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ასევე, უნდა მოიცავდეს მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან, მოპოვებასთან, გადამუშავებასთან, ქიმიური ნივთიერებების, ფეთქებადსაშიში მასალების და ადვილად აალებადი პროდუქტების მონიტორინგთან, რისკების მართვასთან, კონსერვაციასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებელი საწარმოს ლიკვიდაციასთან/დახურვასთან, ეკონომიკურ ნაწილთან, ნარჩენების მართვასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროექტს თან უნდა ახლდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული რეკულტივაციის პროექტი, მათ შორის ეტაპობრივი რეკულტივაციის შემთხვევაში. პროექტი უნდა მოიცავდეს ნარჩენების, მათ შორის სამთო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროექტი უნდა ასახავდეს გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებულ ამ მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას:

- ფიზიკურ გარემოზე; ზედაპირულ და მიწისქვეშა წყალზე; ჰაერის ხარისხზე; ნიადაგზე; გეოლოგიურ გარემოზე (გეოსაშიშროებები); ლანდშაფტზე და ხედზე; ფაუნაზე და ფლორაზე; სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების აღწერა;
- პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებისთვის განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების აღწერა.

პროექტს თან უნდა ახლდეს ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა (გარდა მდინარეზე არსებული ქვიშა-ხრეშის საბადოზე ან გამოვლინებაზე ლიცენზიის ფლობის, ასევე ზედაპირული აკრეფის წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევისა). ეს დასკვნა უფლებამოსილმა ორგანომ მიმართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა გასცეს ლიცენზიის მფლობელზე.

იმ სამთო-მოპოვებითი საქმიანობებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია პროექტი შეიმუშაოს და მოპოვების საქმიანობის დაწყებამდე ინფორმაციის სახით წარადგინოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოში“, რომელიც, თავის მხრივ, ამონებს პროექტის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, 10 კალენდარული დღის ვადაში, აცნობებს ამის თაობაზე ლიცენზიის მფლობელს. იმ სამთომოპოვებით საქმიანობებზე, რომლებიც საჭიროებენ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, პროექტი უნდა შემუშავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

წიალით მოსარგებლემ, რომელიც ახორციელებს წიალისეულის შესწავლას, წიალით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრულ ვადებში ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს წიალისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმა და ინფორმაციის სახით წარადგინოს სსიპ „წიალის ეროვნულ სააგენტოში“.

წიალით მოსარგებლემ, რომელიც ახორციელებს წიალის შესწავლას, წიალით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრულ ვადებში ყოველწლიურად უნდა წარმოადგინოს წიალისეულის შესწავლის სამუშაოთა განვითარების გეგმის შესრულების ანგარიში სსიპ „წიალის ეროვნულ სააგენტოში“.

იმ შემთხვევაში, თუ წიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავება ხორციელდება ღია კარიერული წესით, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე და ლიცენზიით დადგენილი მოსაპოვებელი წიალისეულის ჯამური მოცულობა არ აღემატება 50 000 მ³-ს/70 000 ტონას (გარდა ლითონური სასარგებლო წიალისეულისა), მოპოვების საქმიანობის დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელი შეიმუშავებს და ინფორმაციის სახით სსიპ „წიალის ეროვნულ სააგენტოში“ წარადგენს წიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავების გამარტივებულ პროექტს – ტექნოლოგიურ სქემას.

5. წიაღის მოპოვებისა და ამ პროცესთან დაკავშირებულ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წიაღის მოპოვებასა და მის თანამდევ ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით მიიღება რამდენიმე ტიპის გადაწყვეტილება:

1. გადაწყვეტილება წიაღის მოპოვების ან შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ (სად, რომელ წიაღისეულზე, რა მოცულობის რესურსის მოპოვებასა და რამდენი ხნით გაიცეს ლიცენზია);
2. გადაწყვეტილება წიაღის მოპოვების ლიცენზიის მინიჭების შესახებ (ვინ გახდება ლიცენზიის მფლობელი);
3. მარაგების დამტკიცების შესახებ - სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის შემთხვევაში;
4. გადაწყვეტილება წიაღის მოპოვების არეალში ტყითსარგებლობის შესახებ;
5. გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის მინიჭების შესახებ (ე.წ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება);
6. გადაწყვეტილება რეკულტივაციის სამუშაოებისა და ტყის აღდგენა-გაშენების შესახებ.

დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების მისაღებად საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. უმეტესწილად, მონაწილეობა მხოლოდ ინფორმაციის მიღებით შემოიფარგლება. ცალკეულ შემთხვევაში კი, არსებული კანონმდებლობის პირობებში, სრულფასოვანი ინფორმაციის მიღებაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

5.1 წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან და ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ლიცენზიის გამცემი უწყების გადაწყვეტილებით, საკუთარი ინიციატივით ან ლიცენზიის მაძიებლის განცხადების საფუძველზე. დღეისათვის საზოგადოების მონაწილეობის ლეგალური საფუძველი არ არსებობს და შესაბამისად, ფორმალიზებული სახე არ აქვს. თუმცა, არსებული პრაქტიკით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო, წიაღის მოპოვების აუქციონის გამოცხადებამდე საკითხს შესათანხმებლად უგზავნის იმ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს სადაც დაგეგმილია ლიცენზიის გაცემა. ისინი იხილავენ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართვას და წერილობით წარუდგენენ მათ საკუთარ თვალსაზრისს კონკრეტული წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით¹³. წიაღის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია არ გაითვალისწინოს თვითმმართველობის ორგანოს თვალსაზრისი. რაიმე კრიტერიუმები ამ თვალსაზრისის განხილვის და გათვალისწინების შესახებ არ არსებობს.

¹³ წყარო: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის მ. ზავრაშვილის ზეპირი მოხსენება, 19.07.2019.

წიალის მოპოვების ლიცენზია გაიცემა აუქციონის საშუალებით და შესაბამისად, ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ხდება. საზოგადოებას მხოლოდ ინფორმაცია მიეწოდება აუქციონის გამოცხადების შესახებ. ლიცენზიის გამცემი ორგანო, ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე გადანაცვების მიღებისას, ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე ან/და ვებგვერდზე www.eauction.ge, რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება¹⁴. გაცემული ლიცენზიის მფლობელის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

5.2 სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის შემთხვევაში, მარაგების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია და გადანაცვების მიღების პროცესში მონაწილეობა

შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის მომენტისათვის არ არის დადგენილი მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა. თავდაპირველად ლიცენზიის მფლობელი შეისწავლის სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს და მოპოვებულ ინფორმაციას წარუდგენს კომისიას, რომელიც ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადგენს რესურსის იმ ოდენობას, რომლის მოპოვების უფლება ექნება ლიცენზიის მფლობელს. მარაგების დამტკიცების გადანაცვებისას იღებს სპეციალური კომისია - სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სათათბირო ორგანო. კომისია ამტკიცებს შესწავლილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, აგრეთვე მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს.

კომისიის სხდომები მიმდინარეობს დახურულად. მარაგების დამტკიცების/ჩამოწერის მიზნით, ასევე სასარგებლო წიაღისეულის რესურსების ანგარიშის განხილვის მიზნით გამართული სხდომის ოქმის ნაწილი, რომელიც მოიცავს „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას, ლიცენზიის მფლობელის თანხმობის გარეშე არ გასაჯაროვდება. ამ მუხლის თანახმად, ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

5.3 წიაღის მოპოვების არეალში ტყითსარგებლობის შესახებ ინფორმაცია და გადანაცვების მიღების პროცესში მონაწილეობა

ცალკეულ შემთხვევებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს წიაღის მოპოვება უწევთ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე. წიაღის შესწავლის ან/და მოპოვებისთვის საჭირო მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების განხორციელებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი განცხადებით მიმართავს იმ უწყებას, ვინც მართავს მისთვის საინტერესო ტყის ფართობს. ეს შეიძლება იყოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, ან სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

¹⁴ სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება 01/05/2018, N2, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

(იმ დაცულ ტერიტორიებზე, იქ სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა), ხოლო აჭარის შემთხვევაში - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო. ეს უწყებები სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების ერთ წლამდე ვადით მინიჭებისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებენ. თეორიულად, დაინტერესებულ საზოგადოებას ასეთი წესით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია, მაგრამ ამისათვის დროულად უნდა გაიგოს (ინფორმაცია წარმოების დაწყების შესახებ არ ქვეყნდება) ასეთი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განცხადებით მიმართოს შესაბამის საჯარო უწყებას, რომ ჩართონ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 95-ე მუხლის მიხედვით (იხ. ჩანართი 3).

ჩანართი 3. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 95. „დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.
4. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
5. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობა უნდა შეიცავდეს:
 - ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
 - ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;
 - გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;
 - დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;
 - ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.
6. გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

5.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

გარემოსდაცვითი ნებართვის მინიჭების შესახებ პროცესში მონაწილეობა ამ თავში ჩამოთვლილ სხვა რეგულაციებთან შედარებით ყველაზე გამჭვირვალე და მონაწილეობითი პროცესია. მისი პროცედურები და საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის საშუალებები აღწერილია მე-4.5 თავში. საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ დეტალური რეგულაცია მოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებაში „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“.

5.5 რეკულტივაციის სამუშაოებისა და ტყის აღდგენა-გაშენების შესახებ ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

ყოველგვარი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ეხება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს რეკულტივაციის გეგმა/პროექტი ან ინფორმაცია კონსერვაციის შესახებ ადგილმდებარეობისა (GIS გეოინფორმაციული სისტემები, კოორდინატები) და ნიადაგის მოცულობის მითითებით¹⁵. კანონმდებლობა ასევე ამბობს, რომ რეკულტივაციის პროექტი უნდა შეთანხმდეს სსიპ ნიაღის ეროვნულ სააგენტოსთან¹⁶.

ამგვარი შეთანხმების პროცესში არ არის განსაზღვრული საზოგადოების მონაწილეობა, ან ინფორმირება ამ პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია საჯარო ინფორმაციის სახით შესაბამისი უწყებიდან მიიღოს შეთანხმებული პროექტი.

ტყის აღდგენის ღონისძიებებს ახორციელებენ სახელმწიფო ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ასევე, მათთან შეთანხმებით ტყის აღდგენა შესაძლოა განახორციელონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმაც¹⁷. ამ პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. დაინტერესებულ საზოგადოებას საჯარო ინფორმაციის სახით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

¹⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №424, 31.12.2013 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

¹⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №230, 17.05.2019 „ტექნიკური რეგლამენტების – ნიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, ნიაღის სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

¹⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება №241 13.08.2010 „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“.

6. როგორ გამოვიყენოთ ტყისა და მინათსარგებლობის ატლასი წიაღის მომპოვებელი კომპანიების მონიტორინგისათვის


საქართველოს ტყისა და მინათსარგებლობის ატლასი - <https://atlas.mepa.gov.ge/> - არის ონლაინ მონიტორინგის პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, დაინახოს და გაანალიზოს მონაცემები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

ატლასი იმართება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) მხარდაჭერით და მოიცავს როგორც სამთავრობო უწყებებიდან მიღებულ მონაცემებს, ისე პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ საიმედო, გადამოწმებულ ინფორმაციას და გლობალურ მონაცემებს Global Forest Watch (GFW) პლატფორმიდან.

ატლასმა უნდა უზრუნველყოს ტყისა და მინათსარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა და სიზუსტე და ხელი შეუწყოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვას, განხორციელებას და მონიტორინგს. სისტემის ძირითად მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება პირთა და საზოგადოების ტექნოლოგიითა და ინფორმაციით ნახალისება და ხელშეწყობა. სისტემა დაფუძნებულია Global Forest Watch (GFW) და გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებზე (ESRI ArcGIS; NASA/USGS/ESA satellites – Landsat; Sentinel 2; VIIRS; MODIS) და მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ მონაცემებს.

ატლასიდან მონაცემების მიღება (გადმოწერა) შესაძლებელია პირდაპირ ატლასის [საიტიდან](#) ან ღია მონაცემების [პორტალიდან](#).

ატლასის ინტერაქტიული რუკა მოიცავს სხვადასხვა ფენას: მიწის საფარის დინამიკა, მინათსარგებლობა, დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნება, მიწის საფარი, საფრთხეები. ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა საბაზო რუკა, ორთოფოტოები და ტოპოგრაფიული რუკა (სურ. 12)



სურ. 12. ატლასის გამოყენების მაგალითი - ინტერაქტიული რუკის ძირითადი ფენები

ატლასის ზემოხსენებული ფენები კიდევ იყოფა უფრო დეტალურ ქვე-ფენებად. მაგალითად, ფენა „მინათსარგებლობაში“ შედის შემდეგი ქვე-ფენები: ლითონების და არალითონების საბადოები, ლითონების და არალითონების ლიცენზიები, ხე-ტყის ლიცენზიები, სატყეო უბნები (მხოლოდ იმ სატყეოებისათვის, სადაც ამ ეტაპისთვის დასრულებულია ტყეთმონყობა). ეს ქვე-ფენები დაგეხმარებათ სამთო-მომპოვებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და წიაღის მომპოვებელი კომპანიების მონიტორინგისათვის (სურ. 13).



სურ. 13. ატლასის გამოყენების მაგალითი - მინათსარგებლობის ქვე-ფენები

სალიცენზიო ფართობის ველზე კურსორის მიტანისას რუკის მარცხენა ნაწილში გამოჩნდება ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელის შესახებ (სურ. 14).



სურ. 14. ატლასის გამოყენების მაგალითი - ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელის შესახებ.


ღია მონაცემების პორტალზე (<http://data.mepa.gov.ge>) შესაძლებელია უფრო მეტი ინფორმაციის ნახვა ამ ლიცენზიისა და მისი მფლობელის შესახებ (სურ. 15)



სურ. 15. ინფორმაცია ლიცენზიის შესახებ ღია მონაცემების პორტალზე

აქ მოცემული სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის ნომრისა და ლიცენზიის მფლობელის საიდენტიფიკაციო კოდის მიხედვით, სხვადასხვა საჯარო წყაროებიდან შესაძლებელია უფრო დაზუსტებული ინფორმაციის მიღება. სამწუხაროდ, [ატლასზე](#) და ღია მონაცემების [პორტალზე](#) არსებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის სრულყოფილი და სასურველია კვლევის სიზუსტისათვის გადამოწმდეს სხვა წყაროებით.

ატლასის მეშვეობით შეიძლება მიიღოს ინფორმაცია ტყის კარგვის მიზეზების შესახებ, მათ შორის, წიაღის მრეწველობის მიზეზით გამოწვეული ტყის კარგვის შესახებ (სურ. 16.)



სურ. 16. ატლასის გამოყენების მაგალითი - წიაღის მოპოვება და ტყის კარგვის მიზეზები

ატლასის მეშვეობით ასევე შესაძლებელია გავიგოთ რა ზეგავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზია, ვინაიდან შეიძლება ვნახოთ ამ ლიცენზიის კონტურში ან მიმდებარედ არსებული ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატები, ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადგილები, დაცული ტერიტორიები და ბურმუხტის ქსელის საიტები (სურ 17.)



სურ. 17. ატლასის გამოყენების მაგალითი - წიაღის მოპოვება და ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ტერიტორიები

ამრიგად, საქართველოს ტყისა და მინათსარგებლობის [ატლასი](#) წიაღის მომპოვებელი კომპანიების მონიტორინგის ძალზე მოხერხებული ინსტრუმენტია.